

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2018 წლის 9 თებერვალი

დაბა ჩოხატაური

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №53 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/01/2018; ს/კ 190020020.35.114.016379) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები: დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

დანართი

თავი I ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მუხლი 1.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის იანვარ -სექტემბერი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12 834.7	9 923,3	3 785,1	6 138.2	7 051.1	2 014.4	5 036.7	6 498,9	183.0	6 315.9
გადასახადები	1 051.4	1 100,0	0,0	1 100.0	1 381.3	0,0	1 381.3	1 490,0	0,0	1490.0
გრანტები	10 026.6	6 252,5	3 785.1	2 467.4	3 851.8	2 014.4	1 837.4	2 260,4	183.0	2 077.4



სხვა შემოსავლები	1 756.7	2 570,8	0,0	2 570.8	1 818.0	0.0	1 818.0	2 748,5	0.0	2748.5
ხარჯები	7 921.4	7 844,2	1 948.1	5 986.1	5 538.5	817.8	4 720.7	6 312,7	183.0	6 129,7
შრომის ანაზღაურება	1 555.0	1 573,4	85.0	1 488.4	1 109.0	64.9	1 044.8	1 957,2	85.0	1 872,2
საქონელი და მომსახურება	681.8	930,4	249.3	681.1	542.2	1.5	540.8	861,1	0.0	861,1
სუბსიდიები	3 182.4	3 286,3	85.0	3 201.3	2 794.1	64.4	2 729.7	3 022,9	80.0	2942,9
გრანტები	79.4	0,0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	572.0	470,7	16.0	454.7	336.4	9.6	326.8	350.0	18.0	332.0
სხვა ხარჯი	1 850.8	1 583,4	1 512.8	70.6	756.0	677.4	78.6	121.5	0.0	121.5
საოპერაციო სალდო	4 913.3	2 079,1	1 837.0	242.1	1 512.6	1 196.6	316.8	186,2	0.0	186,2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 788.8	2 860,1	2 603.0	257.1	2 108.1	1 928.1	180.0	2 928,3	2710,9	217,4
ზრდა	5 159.5	2 950,1	2 603.0	347.1	2 134.8	1 928.1	206.7	2 958,3	2710,9	247,4
კლება	370.7	90,0	0,0	90.0	26.7	0,0	26.7	30.0	0.0	30.0
მთლიანი სალდო	124.5	- 781,0	-776.0	-15.0	- 595.5	-731.4	135.9	- 2742,1	- 2710,9	-31,2
ფინანსური აქტივების ცვლილება	117.4	- 862,1	-862.1	0.0	- 677.5	-736.4	59.4	- 2749,9	- 2710,9	-39,0
ზრდა	117.4	0,0	0,0	0,0	175,6	0.0	175,7	0,0	0.0	0.0
კლება	0,0	862,1	862.1	0.0	853,1	853,1	0.0	2749,9	2710,9	39,0
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	862,1	862.1	0.0	853,1	853,1	0,0	2749,9	2710,9	39,0
ვალდებულების ცვლილება	7.1	-81,1	-2.0	-79.1	-82.0	-5.4	-76.6	-7,8	0.0	-7,8
კლება	7.1	81,1	2.0	79.1	82.0	5.4	76.6	7,8	0.0	7,8
საშინაო	7.1	81,1	2.0	79.1	82.0	5.4	76.6	7,8	0.0	7,8
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0	0,0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის იანვარ -სექტემბერი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	13 205.4	10 013,3	3 785.1	6 228.2	7 077.8	2 014.4	5 063.4	6528.9	183,0	6345,9
შემოსავლები	12 834.7	9 923,3	3 785.1	6 138.2	7 051.1	2 014.4	5 036.7	6 498,9	183.0	6 315.9
არაფინანსური აქტივების კლება	370.7	90,0	0,0	90.0	26.7	0,0	26.7	30.0	0.0	30.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	117.4	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0	0,0		
გადასახდელები	13 088.0	10 875,4	4 553.1	6 322.3	7 755.3	2 691,9	5 063,4	9 278,8	2893,9	6384,9
ხარჯები	7 921.4	7 844,2	1 948.1	5 896.1	5 538.5	758,4	4 780,1	6 312,7	183.0	6 129,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	5 159.5	2950,1	2 603.0	347.1	2 134.8	1 928.1	206.7	2958,3	2710,9	247,4
ვალდებულების კლება	7.1	81,1	2.0	79.1	82.0	5.4	76.6	7,8	0.0	7.8
ნაშთის ცვლილება	117.4	-862,1	-862.1	0.0	- 677,5	-677,5	0.0	- 2749,9	-2710.9	- 39.0

მუხლი 3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6 498.9 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის იანვარ -სექტემბერი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12 834.7	9 923,3	3 785.1	6 138.2	7 051.1	2 014.4	5 036.7	6 498,9	183,0	6315,9
გადასახადები	1 051.4	1 100,0	0,0	1 100.0	1 381.3	0.0	1 381.3	1 490.0	0,0	1490,0
გრანტები	10 026.6	6 252,5	3 785.1	2 467.4	3 851.8	2 014.4	1 837.4	2 260.4	183,0	2077,4
სხვა შემოსავლები	1 756.7	2 570,8	0,0	2 570.8	1 818.0	0.0	1 818.0	2 748,5	0,0	2748,5



მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის იანვარ -სექტემბერი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1 054.4	1 100,0	0,0	1 100,0	1 381.3		1 381.3	1 490.0		1490,0
საშემოსავლო გადასახადი	396.3	450,0		450,0	305.7		305.7	340.0		340,0
ქონების გადასახადი	655.1	650,0	0,0	650,0	1 075.6		1 075.6	1 150.0		
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	560.0	580,0		580,0	1 055.1		1 055.1	1 080.0		1080,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	17.7	10,0	0,0	10,0	7.6		7.6	10,0		10,0
ფიზიკურ პირებიდან	17.7	10,0		10,0	7.6		7.6	10,0		10,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	77.4	60,0	0,0	60,0	12.9		12.9	60,0		60,0
ფიზიკურ პირებიდან	77.4	60,0		60,0	12.9		12.9	60,0		60,0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 2 260.4 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის იანვარ -სექტემბერი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	10 026.6	6 252,5	3 765.5	2 485.0	3 851.8	1 996.8	1 855.0	2 260.4	183,0	2077,4
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და										



სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0	17,6	0,0	17,6	17,6	0,0	17,6	0,0	0,0	0,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2 890,4	2650,4	183,0	2 467,4	1975,1	137,7	1 837,4	2 260,4	183,0	2077,4
გათანაბრებითი ტრანსფერი	2 707,4	2467,4	0,0	2 467,4	1 837,4	0,0	1 837,4	2 077,4	0,0	2077,4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	183,0	183,0	183,0	0,0	137,7	137,7	0,0	183,0	183,0	0,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	7 136,2	3 584,5	3 584,5	0,0	1 859,1	1 859,1	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 748,5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის იანვარ -სექტემბერი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	1 756,6	2 570,8		2 570,8	1 818,0		1 818,0	2 748,5		2748,5
შემოსავლები საკუთრებიდან	1 513,7	2 473,2		2 473,2	1 715,8		1 715,8	2 641,0		2641,0
პროცენტები	4,7	5,0		5,0	11,9		11,9	15,0		15,0
დივიდენდები	0	20,0		20,0	0,0		0,0	20,0		20,0
რენტა	1 509,0	2 448,2		2 448,2	1 703,9		1 703,9	2 606,0		2606,0
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისთვის	1 366,7	2 444,2		2 444,2	1 701,4		1 701,4	1 800,0		1800,0
მოსაკრებელი სახ. ტყის ფონდის მერქნული რეს. სარგ.	18,5							100,0		100,0
სხვა არაკლ. ბუნ. რეს. სარგ. მოსაკრებელი	123,8							706,0		706,0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5,1	4,0		4,0	2,5		2,5	0,0		0,0
საქონლისა და მომსახურების	19,8	22,6		22,6	53,8		53,8	57,5		57,5



რელიზაცია										
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	19.8	22,6		22,6	53.8		53.8	57.5		57,5
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.3	0,2		0,2	0.0		0.0	0,2		0,2
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	6.6	7,4		7,4	5.6		5.6	35.0		35,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	12.9	15,0		15,0	48.2		48.2	22.3		22,3
ჯარიმები, სანქციები და საურავები	77.0	75,0		75,0	42.8		42.8	50.0		50,0
საგზაო მოძრაობის წესების დაღწევისათვის	50.5	35,0		35,0	31.7		31.7	35,0		35,0
არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევებისათვის	6.0	5,0		5,0	0.2		0.2	5,0		5,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები ჯარიმებიდან	20.5	35,0		35,0	10.9		10.9	10.0		10,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	146.1									

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6 312,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის იანვარ -სექტემბერი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7921.4	7 844.2	3860,9	6630,1	5 538.4	817.7	4 720.8	6 312,7	183,0	6 129,7
შრომის ანაზღაურება	1555.0	1 573.4	85.0	1 488.4	1 109.8	64.9	1 044.9	1 957,2	85,0	1872,2
საქონელი და მომსახურება	681.8	930.4	249.3	681.1	542.2	1.5	540.8	861,1	0,0	861,1
სუბსიდიები	3182.4	3 286.3	85.0	3 201.3	2 794.1	64.4	2 729.7	3022,9	80,0	2942,9
გრანტები	79.4	0.0	0,0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	572.0	470.7	16,0	454.7	336.4	9.6	326.8	350.0	18,0	332,0



სხვა ხარჯები	1850.8	1 583.4	1 512.8	70.6	755.9	677.3	78.6	121,5	0,0	121,5
--------------	--------	---------	---------	------	-------	-------	------	-------	-----	-------

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2 928,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 2958,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	27.9	10.0	10.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1.0	5.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5 072.2	2 849.6	2948,3
04 00	განათლება	32.8	0.0	0,0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	23.9	85.5	0.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1.7	0.0	0.0
სულ ჯამი		5 159.5	2 950.1	2958,3

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 30.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2016 ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	370.7	90,0	30.0
ძირითადი აქტივები	167.3	50,0	30.0
შენობა-ნაგებობები	167.3	50,0	30.0
არაწარმოებული აქტივები (მიწა)	203.4	40,0	0.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 008.3	2 053,8	2501,5
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 008.3	2 053,8	2501,5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 946.6	2 023,8	2451,5



70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	61.7	30,0	50.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	0,0
702	თავდაცვა	107.4	107,0	120,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0,0	0.0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.0	0,0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	7 016.2	4 631,7	3075,9
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	831.5	1878,2	50.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	831.5	1878,2	50.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	6 184.7	2753,5	3025,9
705	გარემოს დაცვა	0,0	0,0	1.5
7051	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	0,0	0,0	1.5
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	569.8	759,3	568,5
7061	ბინათმშენებლობა	0,0	0,0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	468.9	654,3	498.5,0
7063	წყალმომარაგება	0.0	0,0	0.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	100.9	105.0	70.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	96.9	85,0	80.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	96.9	85,0	80.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 570.9	1520,1	1261,4
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	560.4	505,0	360,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	980.0	965,5	881,4
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0,0	0,0	0.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	30.5	49,6	20.0
709	განათლება	1 093.3	1 217,0	1120,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	966.3	1060,0	980,0
7092	ზოგადი განათლება	28.2	45,0	45.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	98.8	112,0	95.0
710	სოციალური დაცვა	625.2	501,5	550.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	625.2	501,5	550.0



მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი 50,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 183,0 ათასი ლარი მიიძღვრება:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 80,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 85,0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 10,0 ათასი ლარი;

დ) „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 8,0 ათასი ლარი

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლობის შემთხვევაში განხორციელდება ჭარბი თოვლის საფარისაგან გზების გათავისუფლება. განხორციელდება დაბაში საგზაო მოძრაობის ნიშნების მოწესრიგება.

მოსალოდნელი შედეგი:



მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

რეაბილიტირებული გზების სიგრძე.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა, დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება. მოხდება სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია.

1.2.1 კომუნალური სამსახური „სხივი“ (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სხივი“

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, კომუნალური სამსახური „სხივი“ ახორციელებს მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, დაბის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხეების გადაბეღვა-ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა-დამუშავება და გატანა.

მოსალოდნელი შედეგი:

განათებული ქუჩები;

მოსახლეობის გაუმჯობესებული სანიტარიული მდგომარეობა;

მუნიციპალიტეტის იერსახის გალამაზება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დამონტაჟებული სანათების რაოდენობა;

განთავსებული სანაგვე ურნების რაოდენობა;

გატანილი ნარჩენების რაოდენობა (ტონა).

1.2.2 ა(ა)იპ კურორტი „ბახმარო“ (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“

ქვეპროგრამის მიზანია კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობა, შემეცნებითი, გასართობი და სპორტული დანიშნულების ობიექტების შექმნა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, კომუნალური მომსახურების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა.



ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება დამსვენებელთა მოზიდვა, მოსახლეობის გაჯანსაღების, დასვენების, სამედიცინო და კომუნალური მომსახურების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა. საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა. კურორტის ტერიტორიის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. ქუჩის განათების და წყალმომარაგების სისტემის მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა, ინდივიდუალური სააგარაკო სახლების და სხვა ობიექტების მშენებლობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი:

კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

კურორტის დამსვენებლებისთვის გაუმჯობესებული სანიტარიული პირობების უზრუნველყოფა;

ტურისტების რაოდენობის გაზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გატანილი ნარჩენების რაოდენობა (ტონა);

რეაბილიტირებული წყალმომარაგების ქსელი (გ/მ);

ტურისტების გაზრდილი რაოდენობა.

1.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში მოხდება სადღესასწაულო დღეებისათვის დაბის ქუჩების გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

1.3.1 შენობების ტექნიკური პასპორტების და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადების და საინფორმაციო საშუალებების გამოქვეყნების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების და მიწის ფართების რეალიზაციისათვის აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, ქვეპროგრამის ფარგლებშიც ხორციელდება სარეალიზაციო ობიექტების ტექნიკური პასპორტების და მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება, დაბის განვითარებისა და პროექტირებისათვის, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და აუდიტორული მომსახურების შესყიდვა. სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისა.

მოსალოდნელი შედეგი:

საპრივატიზაციო ობიექტების აღწერა;

შესყიდული საპროექტო დოკუმენტაციის მაღალი ხარისხი.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

შესყიდული საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა;



პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა.

1.3.2 დაბის არქიტექტურული იერსახის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება დაბის არქიტექტურული იერსახის კონცეფციის შესაქმნელად საჭირო პროექტები.

1.3.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. განხორციელდება: დაბასა და ადმინისტრაციულ ერთეულში კეთილმოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყობა საგზაო ნიშნები მოძრაობის წესების რეგულირებისათვის. დაბაში, გოგიბერიძის ქუჩაზე მოეწყობა სპორტული მოედანი, მოხდება 9 აპრილის სკვერის რეაბილიტაცია, განხორციელდება ბორის პაიჭაძის სახელობის ცენტრალური სტადიონის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წერეთლის ქუჩაზე მოეწყობა ავტოსადგომი, დაბის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მოხდება შესაბამისი პროექტის შედგენა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული სივრცის შექმნა;

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

კეთილმოწყობილი ობიექტების რაოდენობა;

დაჭერილი და თავშესაფარში გადაყვანილი მაწანწალა ცხოველების რაოდენობა.

1.4 სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 09)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარება, მ.შ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა. დადგინდება საკარანტინო მავნებლების გავრცელების არეალი და პერიოდები. ჩატარდება საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები. დაინტერესებული ფერმერები მოინახულებენ საქართველოში არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ მეურნეობებს. მოეწყობა აგროტურები. დაინტერესებული პირები გაგზავნილი იქნებიან გადამზადების კურსებზე. მოხდება მათი თანადაფინანსება. მოწვეული სპეციალისტები ჩაატარებენ ლექცია სემინარებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

მოსალოდნელი შედეგი:

მოსახლეობაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განვითარების ხელშეწყობა;

შესაბამისი მიმართულებით გადამზადებული ფერმერები.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა;



1.5 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 06)

დასრულდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები. სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2 . განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა , ახალი ბაღების გახსნა.

მოხდება მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.

2.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, უზრუნველყოფილი იქნება მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურება. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდება.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 710 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

მოსალოდნელი შედეგი:

საბავშვო ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;

სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

საბავშვო ბაღებში მიმდინარე პროცესების მიმართ დადებითად განწყობილ მშობელთა რაოდენობა;

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობის ზრდა.

2.2 განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებასა და სხვა ღონისძიებების მოწყობას. მოხდება მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.



მოსალოდნელი შედეგი:

საგანმანათლებლო და სააღმზადებლო პროცესის, ასევე არასასკოლო განათლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა.

2.3 ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, მუსიკალური და ქორეოგრაფიული წრეები, განხორციელდება სხვადასხვა პროექტები, სადაც შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და წარმოჩინდნენ ფართო აუდიტორიის წინაშე.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ ჩატარდება სხვადასხვა ღონისძიებები:

პროექტი „ჩემი სამყარო“

პროექტი „ხელნაკეთი წიგნები“

პროექტი „მე ვეძებ ჩემი კუთხის შვილებს“

მხატვრული კითხვის კონკურსი

დოკუმენტური ფილმების ფესტივალი

ნორჩ ფოლკლორისტთა ფესტივალი

ვიქტორინა -ყველაზე საზრიანები

ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ბაღდათში, გორში.

14 აპრილი დედაენის დღე

მწვანე საფარის მცველები „დედამიწის დღესთან დაკავშირებით ნარგავების დარგვა

სპექტაკლის „იავნანამ რა ჰქმნა“ პრეზენტაცია კინოსახლში და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების მეშვეობით ახალგაზრდობისთვის მუნიციპალიტეტში უკეთესი გარემოს შექმნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდობის რაოდენობა.

2.4 საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 04)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, პროგრამის



ფარგლებში მოხდება მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ თანამშრომელთა ეფექტიანობის გაზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

კვალიფიკაცია ამაღლებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა.

3. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული დამეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა;

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება და დაფინანსდება:

- სასპორტო სკოლა;
- სპორტის განვითარების ცენტრი;
- საფეხბურთო კლუბი „ბახმარო 2009“

3.1.1 სპორტის განვითარების ცენტრი (პროგრამის კოდი 05 01 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სპორტის განვითარების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას, მოეწყობა შეჯიბრებები:

- ნარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ბილიარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ფუტბალი - ჩოხატაურელი იუნკერების მაკარ ბურჭულაძის , აკაკი და გედეონ ხუნდაძეების სახელობის ტურნირი.
- ჭადრაკი - მუნიციპალიტეტის პირველობა და რეგიონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოჭადრაკეთა მივლინება.
- ბალახის ჰოკეი - 9 აპრილს დაღუპულ ნატო გიორგაძისადმი მიძღვნილი ტურნირი.
- მაგიდის ჩოგბურთი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ლელო - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები ცხენოსნობაში, ლელობურთში, ბაგირის გადამალვაში და სხვა.
- ფეხბურთი - ვეტერან ფეხბურთელთა შეჯიბრი.



- მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - რუსეთის აგრესიის შედეგად სამაჩაბლოში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.
- ტრადიციული დოლი და სხვა ღონისძიებები, კურორტ ბახმაროში ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით.
- აფხაზეთის ომში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში.
- ბაზიერობა - მუნიციპალიტეტის პირველობა და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
სპორტული ღონისძიებებისადმი ინტერესის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
სპორტულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

3.1.2 სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს ძიუდოს, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ბალახის ჰოკეის, კალათბურთის, რაგბის, ფრენბურთის ჭადრაკის სპორტულ წრეებს. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 9 სპორტული სახეობის 18 სექცია, სადაც გაერთიანებულია 295 მოსწავლე სპორტსმენი.

ქვეპროგრამის ფარგლებში სასპორტო სკოლის რაგბის გუნდი მონაწილეობას მიიღებს დასავლეთ საქართველოს სარაგბო ფესტივალში 1998-1999, 2000-2001, 2002-2003 წელში დაბადებული მორაგბეებით, სადაც მონაწილეობს საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სარაგბო გუნდები. მიიღებს მონაწილეობას მძლეოსნობაში საქართველოს პირველობებზე რესპუბლიკურ ტურნირში. ახალჩამოყალიბებული საკალათბურთო ჯგუფი რომელიც მონაწილეობას იღებს საქართველოს პირველობის ტურნირში. საჭადრაკო კლუბის აღსაზრდელები მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივ ტურნირებში.

სასპორტო სკოლის სპორტის ყველა სახეობისთვის მოხდება მოსწავლეთა და მწვრთნელთა სპორტული ფორმების შეძენა.

მოსალოდნელი შედეგი:

სხვადასხვა სპორტულ დისციპლინებში ჩართულ მოზარდთა პროფესიულ სპორტულ კარიერაში წინსვლის ხელშეწყობა;

მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

წარმატებული სპორტსმენთა რაოდენობის ზრდა;

სპორტულ დისციპლინებში ჩართული მოზარდების რაოდენობა.

3.1.3 საფეხბურთო კლუბი „ბახმარო-2009“ (პროგრამის კოდი 05 01 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი „ბახმარო-2009“ რომელიც მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ჩემპიონატის რეგიონულ ლიგაში. დაარსების დღიდან გუნდში იგრძნობოდა სპორტული ღონის ამალგების ტენდეცია, გუნდმა მიაღწია გარკვეულ შედეგებს, კერძოდ 2009-2010 წლების გათამაშებაში მე-5 ადგილი, 2011-2012 წლების გათამაშებაში მე-4 ადგილი. 2013-2014-2015 წლებში მე-6 ადგილი. 2017 წელს, მიმდინარე სეზონის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე „ბახმარო-2009“ თავის ლიგაში პირველ ადგილზე ასრულებს სეზონს და პრაქტიკულად განაღდებული აქვს მომალ წელს ზედა ლიგაში თამაში.



გამომდინარე აქედან გუნდს გააჩნია სათამაშო კლასის ამაღლების პოტენციალი და მიზნად ისახავს გარკვეულ წინსვლას. მოხდება მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ამხანაგური მატჩების უფრო ხშირად ჩატარება.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება ბავშვთა საფეხბურთო აკადემია სადაც სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში 120 მოზარდია გაერთიანებული.

მოსალოდნელი შედეგი:

საფეხბურთო კლუბ „ბახმარო-2009“-ის სათამაშო ხარისხის კიდევ უფრო გაზრდა;

მოზარდებში ფეხბურთისადმი დაინტერესების გაზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

საფეხბურთო კლუბ „ბახმარო-2009“-ის კიდევ უფრო მაღალ ლიგაში დაწინაურება;

ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში ჩართული მოზარდების რაოდენობის გაზრდა.

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი;
- მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 150-მდე მოსწავლე;
- სამხატვრო სკოლა, სადაც სწავლობს 100 -მდე მოსწავლე;
- ბიბლიოთეკები;
- მუზეუმები;
- სამხატვრო გალერეა;

3.2.1 ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ბიბლიოთეკის ქსელი.

განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
